ქეთევან შოთაძე

დარგობრივი ხასიათის ტექსტების სწავლების მეთოდები და სტრატეგიები დაწყებით კლასებში

დაწყებით საფეხურზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს, კერძოდ, სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტს. ტექსტის სხვადასხვა ტიპი ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს შეისწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა, მოემზადოს ცხოვრებისეული და პროფესიული ურთიერთობისათვის, მიიღოს მეტი ინფორმაცია, შეიმეცნოს სამყარო და ა. შ. მოსწავლე უნდა დაეუფლოს მხატვრული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების გაგების, აღქმის, ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს. მან უნდა შეძლოს მათი დამოუკიდებლად, სწორად წაკითხვა, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვა, ანალიზი, ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტიპის ტექსტების შედგენა, შემოქმედებითი აქტივობების გამომჟღავნება.

დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი დარგობრივი (მეცნიერულ-პოპულარული) სტატიები თემატიკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: საბუნებისმეტყველოდ და ისტორიულად. დარგობრივი ხასიათის სტატიების კითხვის ძირითადი მიზანია, მისცეს მოსწავლეს ელემენტარული, მაგრამ სისტემატიზებული ცოდნა გარე სამყაროზე ფაქტების აღწერის, მსჯელობის, დასკვნებისა და დაკვირვების გზით; ე. ი მიაწოდოს ბავშვებს ესა თუ ის მეცნიერული ინფორმაცია მათთვის გასაგები პოპულარული ენით. სწავლების პირველ საფეხურზე ამგვარი ტექსტების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათი საშუალებით მოსწავლე ემზადება საგნების სისტემატური შესწავლისათვის მაღალ კლასებში, თუმცა სტატიების შერჩევის გარდა, უმნიშვნელოვანესია, თუ როგორ მივაწოდებთ მათ მოსწავლეებს, რა მეთოდებსა და ხერხებს გამოვიყენებთ მათი სწავლებისას.

განსაკუთრებით საინტერესოა მოსწავლეებისათვის ისტორიული ხასიათის ტექსტებში მოცემულია ინფორმაცია, ამა თუ იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სურათები, რაც გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას მოცემული დროისა და

ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, გვიჩვენებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მძაფრ წინააღმდეგობებს და ყოველივე ამით გვეხმარება ამ სინამდვილის შესწავლაში, გაგებასა და შეცნობაში.

მოსწავლემ დაწყებითი კლასებიდანვე უნდა გაიაზროს საკუთარი ქვეყნის წარსული, ისტორიული განვითარების პერიპეტიები, სამშობლოს წინსვლისა და განვითარებისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, აუცილებელია ამგვარი ტექსტების სწავლებას გარკვეული დრო დავუთმოთ და ისინი მოსწავლეებს დოზირებულად, საინტერესოდ და მათთვის გასაგებად მივაწოდოთ.

როგორც აღვნიშნეთ, დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოებში მრავლადაა წარმოდგენილი ისტორიული ხასიათის ტექსტები, ამიტომ მათი სწავლება მასწავლებლის განსაკუთრებულ და სპეციფიკურ მომზადებას საჭიროებს. აუცილებელია, თავად მასწავლებელმა გააცნობიეროს ინფორმაციული ტექსტის ძირითადი მახასიათებლები და მის გააზრებასთან დაკავშირებული ძირითადი სირთულეები. ამით ის შეძლებს, დაეხმაროს მოსწავლეებს ასეთი ტიპის ტექსტებთან მუშაობისას ბარიერების გადალახვაში. აღნიშნული ტექსტების გააზრებისას შექმნილი პრობლემები მრავალმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს. ყველაზე გავრცელებული მიზეზებია: მწირი ლექსიკური მარაგი, გამართულად კითხვის დეფიციტი, მკითხველისთვის უცნობი საკითხავი თემა, ტექსტის სირთულე, კითხვის ეფექტური სტრატეგიების არაადეკვატური გამოყენება, ინფორმაციის გადამუშავების პრობლემები, წაკითხვის შემდეგ ინფორმაციის აღდგენის პრობლემა.

თუმცა წაკითხულის გააზრების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეებს მიზანმიმართულად ვასწავლით: პარაგრაფში ძირითადი აზრის პოვნას, ·დასკვნების გამოტანასა და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას, ·ძირითადი ინფორმაციის თხრობას, ტექსტის ძირითადი პუნქტების შეჯამებას“ (სომხიშვილი, 2018).

დარგობრივი სტატიების კითხვა-დამუშავება რამდენადმე განსხვავდება მხატრული ნაწარმოების კითხვისაგან. სტატიების დამუშავება ძირითადად ხდება ინდუქციურად - ჯერ ცალკეული ნაწილი წაიკითხება და დამუშავდება, შემდეგ კი ამის

საფუძველზე გაანალიზდება მთელი შინაარსი. ამ დროს მთავარი და არსებითია, მოსწავლემ შეძლოს სტატიაში თავმოყრილი ინფორმაციის აღქმა. მხატვრული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით მეცნიერულ-პოპულარულ სტატიებს სიუჟეტი არ აქვს, ამიტომ მასწავლებელი სტატიის კითხვის პროცესში ყურადღებას ამახვილებს მეცნიერული ინფორმაციის თანდათანობით მიწოდებაზე იმგვარად, რომ მოსწავლემ კითხვის პროცესში შეგნებულად გააანალიზოს და აითვისოს იგი.

სტატიის შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (მაგ. ექსკურსია); თავად სტატიის დამუშავება კი შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:

1. შესავალი საუბარი;
2. ასახსნელი მასალის გამომეტყველებითი წაკითხვა;
3. საკონტროლო კითხვის დასმა;
4. სტატიის ნაწილ-ნაწილ კითხვა მოსწავლეთა მიერ;
5. ლექსიკური კომენტარი;
6. დამუშავებული მასალის განმტკიცება და ტექსტზე მუშაობა;
7. გეგმის შედგენა;
8. შინაარსის გადმოცემა გეგმის მიხედვით;
9. დასკვნითი საუბარი სტატიის ნაწილების მიზეზ-შედეგობრივად დასაკავშირებლად (მაღლაკელიძე, 2013:70).

სტატიები მუშავდება იმის მიხედვით, თუ რა მოცულობისა და ხასიათისაა იგი, რამდენ ახალ (მოსწავლეთათვის) მეცნიერულ ფაქტს შეიცავს იგი, როგორ მიემართება მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიული ხასიათის სტატიები გამოირჩევა სიუჟეტური მთლიანობით, დაწერილია საკმაოდ მაღალმხატვრულად, ფაქტების აღწერასთან ერთად გვხვდება გმირის აღწერაც, ასევე - დიალოგები, მოცემულია ფაქტების ავტორისეული შეფასებაც; ამდენად, ნაწარმოები სცილდება მეცნიერულ-პოპულარული სტატიების ფარგლებს და თავისი ხასიათით მხატვრულ ნაწარმოებს უახლოვდება). შესაბამისად, მზამზარეული რეცეპტის შეთავაზება მასწავლებლისათვის რთულია. ერთის თქმა კი აუცილებელია - მეცნიერულ პოპულარული სტატიის კითხვას წინ აუცილებლად უნდა

უძღოდეს მასწავლებლის შესავალი საუბარი (მინილექცია). ასევე, სტატიაში მოცემული ცნებების, ფაქტების ანალიზი აუცილებლად უნდა მოხდეს თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით.

„მინილექციის“ მიზანია ნიადაგი მოამზადოს ტექსტის შეგნებული კითხვისა და გააზრებული ათვისებისათვის, ანუ მოამზადოს მოსწავლე ახალ თემაზე გადასასვლელად. მეცნიერულ-პოპულარული სტატიების შესწავლა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მიერ საფუძვლიანად და ღრმად გაგება მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მათ ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ ამისთვის სათანადო ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნა, ან სათანადო გამოცდილება, ამიტომ მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ გაუადვილდეთ მოსწავლეებს მათში ასახული აზრების, შეხედულებების გაგება და დაკავშირება მათ შეგნებაში დაგროვილ ცოდნასთან.

ისტორიული ხასიათის ტექსტების სწავლების დროს უმნიშვნელოვანესია სქემების გამოყენება, რომლებიც ეხმარება პატარა მკითხველს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმაში, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებაში, ტექსტის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირებაში, კავშირების დამყარებაში და სხვა. ჩვეულებრივ, მოსწავლეები ხალისითა და ინტერესით ავსებენ ამგვარ სქემებს. სასურველია, მასწავლებელმა პერიოდულად სხვადასხვა ტიპისა და დიზაინის სქემები გამოიყენოს სასწავლო პროცესში.

როგორც წესი, ამგვარი სქემების შესავსებად საჭიროა სხვადასხვა უნარის გააქტიურება და მათი ინტეგრირებულად გამოყენება. ეს უნარებია: აღქმა და ანალიზი, წერა, წარმოსახვა და ვიზუალიზება, იდეების ორგანიზება და სქემატურად დაკავშირება, დასურათება და სხვა. შესაძლებელია თითოეული სქემის ადაპტირება, გამარტივება ან გართულება მისი ამა თუ იმ ელემენტის ამოღების, ჩანაცვლების ან ჩამატების გზის.

მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათს მუშაობას, საჭიროებისას ეხმარება და აწვდის უკუკავშირს, მოცემული სქემების გამოყენება საუკეთესო საშუალებაა კითხვისა და წერის ინტეგრირებისათვის. ერთი და იგივე სქემა ხშირად ეხმარება მოსწავლეს,

ერთი მხრივ, ჩანაწერების საშუალებით გააზრებაში, მეორე მხრივ კი - ახალი ტექსტის მომზადებასა და შექმნაში.

წარმოგიდგენთ რამდენიმე სქემას, რომელიც უშუალოდ გამოიყენება დარგობრივი ხასიათის ტექსტების სწავლების პროცესში. მოცემული სქემები დამუშავებულია ტექსტზე ,,დიდგორის ბრძოლა“ (ავტორი ლევან სანიკიძე, v კლასი, გამომცემლობა ,,მერიდიანი“).

- **სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციური რუკა**

  წარმოდგენილი სქემის პირველ უჯრაში მოსწავლე წერს უცხო სიტყვას, რომელიც უნდა განიმარტოს, შემდეგ უჯრაში ქმნის ილუსტრაციას, რომელსაც აკავშირებს აღნიშნულ სიტყვასთან, შემდეგ წერს სიტყვის განმარტებას და ბოლოს თუ რა ასოციაცია გაუჩნდა აღნიშნულ სიტყვაზე. ეს სქემა გამოიყენება სალექსიკონო მუშაობისას.

სიტყვა ყივჩაღი	**სურათი/ილუსტრაცია**
განმარტება თურქულენოვანი მომთაბარე ტომი, რომელიც 1118წ. დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა საქართველოში.	**მაგალითი/ასოციაცია** ამ სიტყვაზე მე გამიჩნდა ჯარისკაცის ასოციაცია.

- **კითხვა**

მოცემული სქემა მოსწავლემ უნდა შეავსოს ტექსტიდან გამომდინარე და სქემაში დასმულ კითხვებს პასუხი გასცეს წერილობით

ვინ/რა?	სად?	რას შვრება/რა ქნა?	როდის?	რატომ?
თურქების არმია ნეჯმად-დინ ილღაზის მეთაურობით	საქართველოსკენ	გამოემართა	1121 წელს	საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ წასახდენად
დავით აღმაშენებელმა	დიდგორის ველზე	ჯარი დაალაგა და სიტყვით მიმართა	1121 წელს	თურქებთან საომრად
თურქები და ქართველები	დიდგორის ველზე	შეებნენ ერთმანეთ	1121 წელს	თურქთა მიერ საქართველოს დასაპყრობად ხოლო ქართველთა მიერ სამშობლოს დასაცავად

- **თავიდან - მერე -ბოლოს**

მოცემული სქემა მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ტექსტიდან გამომდინარე და უჯრებში ჩამოწერონ თუ რა მოხდა თავიდან? რა მოხდა მერე? და რა მოხდა ბოლოს?

რა მოხდა დასაწყისში?

საქართველო იმდენად გაძლიერებული იყო, რომ აღარ ემორჩილებოდა თავის უძველეს მტერს - თურქებს. ამით შეშფოთებულმა თურქებმა უზარმაზარი არმია შეკრიბეს და წამოვიდნენ საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ წასახდენად.

რა მოხდა შუა ნაწილში?

ქართველთა ჯარი დავით აღმაშენებლის სარდლობით მომხდურს დიდგორის ველზე დახვდა.

რა მოხდა ბოლოს?

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე გაიმართა გადამწყვეტი, სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

- **მიზეზი - შედეგი**

მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ტექსტი და ამოწერონ ორი მნიშვნელოვანი ფაქტი ან მოვლენა, შემდეგ კი მოძებნონ ტექსტში ორი მიზეზი, რომლებიც იწვევს ამ ფაქტს/მოვლენას.



გამოყენებული ლიტერატურა

1. მაღლაკელიძე ნ., „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა“, თბილისი. 2013;

2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული); საქართველოს განათლების პროექტი (G-pried), თბილისი. 2015;

3. სომხიშვილი ვ., „საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების გაგება-გააზრების სწავლება დაწყებით საფეხურზე“, ინტერნეტგაზეთი თბილისი. www. Mastsavlebeli.ge. 2018.